# რახაბი მზვერავების მითითებისამებრ იქცევა

## იესო ნავეს ძე 2 და 6 თავები

შეარჩიეთ ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც თქვენს შვილს დააინტერესებს და გამოადგება. განიხილეთ ეს სავარჯიშოები ოჯახთან ერთად.




### წაიკითხეთ იესოს ნავეს ძის 2 და 6 თავები

შემდეგ წაიკითხეთ დასურათებული ბიბლიური ისტორია (ონლაინში ან ამობეჭდილი PDF ფორმატიდან) და განიხილეთ ამ ისტორიის ბოლოს დასმული კითხვები.

## სხვა ამოსაბეჭდი სავარჯიშოები



### სურათები

**ისწავლე ხატვა.** დაეხმარეთ თქვენს პატარას, დახატოს რახაბი. ამაში აქვე მოცემული ნიმუში და დახაზული ჩარჩო დაგეხმარებათ. შემდეგ გააფერადებინეთ ნახატი.



### სახალისო სავარჯიშო

**დააწყვილე ბარათები.** მას შემდეგ, რაც თქვენი პატარა ამოჭრის ბარათებს, დაეხმარეთ, რომ მინიშნებაში აღწერილისა და ბიბლიური მუხლების გამოყენებით დააწყვილოს ბარათები.



### შეაბრუნე და ისწავლე

**ბიბლიური პერსონაჟის ბარათი.** ბავშვთან ერთად წაიკითხეთ ზოგადი ცნობები და მათ ბარათზე მოცემული კითხვები დაუსვით. გამოიყენეთ ჩვენს ვებ-გვერდზე jw.org მოცემული სხვა ბარათებიც, რომ იპოვოთ ის ორი ბიბლიური პერსონაჟი, რომლებიც თავდაპირველად, რახაბის მსგავსად, არ ემსახურებოდნენ იეჰოვას, მაგრამ მოგვიანებით მისი თაყვანისმცემლები გახდნენ: 1) მისიონერი, რომელიც ერთ დროს დევნიდა ქრისტიანებს და 2) მოაბელი ქალი, რომელიც იესო ქრისტეს წინაპარი გახდა (რუთი 1:22; მათე 1:5, 16; საქმეები 21:40—22:16).

www.jw.org © 2014 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania